თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 2

ქ.თერჯოლა

4 თებერვალი 2025 წელი

ან. ჭანტურიძის ქ. №7

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1.გიორგი ბარათაშვილი, 2.დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. ნინო ჩხიკვაძე, 5. ბადრი ბუცხრიკიძე, 6. გრიგოლ გიორგაძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8.ტარიელ ფანჩულიძე. 9. გოჩა ვერულაშვილი, 10. თემურ ქოჩიაშვილი, 11. შალვა ჭანკვეტაძე.

სხდომას არ ეწრებოდნენ: 1. კახა ბუცხრიკიძე.
საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 12 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 11
კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282503534 წერილი, 04.02.2025 წ);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

2. უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 იანვრის № გ-29.292501513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28250305, 30.01.2025 წ.);

/მომხს: შ. ჭანკვეტაძე/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282503494, 03.02.2025 წ.).

/მომხს: შ. ჭანკვეტაძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.
ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 1090.0 ათასი ლარით და შეადგენს 29835.6 ლარს.
საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 1090.0 ათასი ლარით. გრანტი გაიზარდა 690.0 ათასი ლარით, სოფლის განვითარების პროექტები. სხვა შემოსავლები გაიზარდა 400.0 ათასი ლარით.
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 1090.0 ათასი ლარით. მ/შორის:
გზების კეთილმოწყობა გაიზარდა - 400.0 ათასი ლარით.
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაფინანსდება 690.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-11, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ ბიუროს წევრებს გააცნო ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 იანვრის № გ-29.292501513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის მოსარგებლეთა კატეგორიას ემატება ის ოჯახები, რომელთა საცხოვრებელი სახლი სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველია და ეს ფაქტი დასტურდება შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-11, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს:შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 იანვრის № გ-29.292501513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ გან კარგულების პროექტი - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დისკრიმინაციის გარეშე და სხვებთან თანაბარ პირობებში დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობის ხელმისაწვდომობის ძირითად პრინციპებსა და მექანიზმებს. ამასთან, ამავე კანონით დადგენილია, როგორც ზოგადად, ადმინისტრაციული ორგანოების ისე ცალკეული უწყებების, მათ შორის მუნიციპალიტეტის ორგანოების ცალკეული ვალდებულებები კანონით განსაზღვრულ სფეროში.
კანონი ასევე ადგენს, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოების მიერ, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო სერვისების, სტანდარტებისა და რეგულაციების შემუშავებასა და დანერგვას, სამოქმედო გეგმებისა და პროგრამების შემუშავებების მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონდე პირთა, ასევე იმ პირთა მონაწილეობა, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვასთან და მათი პირობების გაუმჯობესებასთან.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-11, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 4 თებერვლის საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი